

## სსიპ შემოსავლების სამსახური



განცხადება მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის შესახებ



## განცხადება

### მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის შესახებ

#### სარჩევი

1. შესავალი .....	2
2. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია.....	5
2.1. ტერმინთა განმარტებები .....	5
2.2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები .....	6
მოთხოვნები პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული წინადადებისათვის.....	7
2.3. ინსტრუქცია პრეტენდენტის წინადადების შედგენის და წარდგენის წესზე .....	13
2.4. პრეტენდენტის წინადადების ფორმა, მოქმედების მინიმალური ვადა და წარდგენის ადგილი.....	15
2.5. პრეტენდენტების მიერ წარდგენილი წინადადებების განხილვისა და შერჩევის საკითხები 17	
2.6. განმარტებები შერჩევის პროცედურებსა და საკვალიფიკაციო დოკუმენტაციასთან .....	17
2.7. შესარჩევ კომისიასთან კომუნიკაციის წესი.....	18
3. ინფორმაცია პრეტენდენტის საბანკო გარანტიებზე.....	18
4. შესარჩევი კომისიის საკონტაქტო ინფორმაცია:.....	20



## 1. შესავალი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური (შემდეგში - შემოსავლების სამსახური) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იწყებს შერჩევის პროცესს საქართველოში მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის გამოვლენის მიზნით.

შემოსავლების სამსახურის მიერ განსახორციელებელი შერჩევის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ (192<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი) და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N99 დადგენილება „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება:

- ა) აქციზით დასაბეგრი ალკოჰოლიანი სასმელი (მათ შორის ლუდი);
- ბ) თამბაქოს ნაწარმი (მათ შორის, თამბაქოს ნედლეული, თამბაქოს ნარჩენები);
- გ) სითხეები ნიკოტინის შემცველობით ან ნიკოტინის შემცველობის გარეშე, განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის.

სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება ასევე არაალკოჰოლური სასმელები, მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები.

ასევე 192<sup>1</sup> მუხლის თანახმად სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება არაალკოჰოლური სასმელები (მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები).

მატერიალური ფორმის მარკების გაცემა ხორციელდება შემდეგი ფორმით: რულონი - თვითწებადი; შეკვრა - მშრალი;

ინფორმაცია 2018-2021 წელს გაცემული აქციზური და არააქციზური მარკების რაოდენობებისა შესახებ.

### ლუდი

წელი	ადგილობრივი არამატერიალური	ადგილობრივი მატერიალური	იმპორტული მატერიალური	სულ ჯამი
2018	55 479 051	882 500	15 887 762	<b>72 249 313</b>
2019	61 505 063	1 180 000	12 820 860	<b>75 505 923</b>
2020	65 653 447	839 000	7 962 120	<b>74 454 567</b>
2021(4 თვე)	16 375 265	270 000	1 860 000	<b>18 505 265</b>



**ალკოჰოლი**

წელი	ალკოჰოლი მატერიალური
2018	7 858 000
2019	9 652 000
2020	7 924 000
2021(4 თვე)	2 805 000

**თამბაქო (ადგილობრივი)**

წელი	ადგილობრივი				სულ
	უფილტრო (დანარჩენი)	უფილტრო (სითხეები)	უფილტრო	ფილტრიანი	
2018			108 431 000	540 000	108 971 000
2019	2 511 000	36 000	1 735 000		4 282 000
2020	12 691 000	41 000	1 050 000	20 952 000	34 734 000
2021(4 თვე)	4 514 000	76 000	3 000	5 940 000	10 533 000

**თამბაქო (იმპორტი)**

წელი	იმპორტი			
	უფილტრო	ფილტრიანი	სულ	სულ ჯამი
2018	7366000	267807600	275173600	384 144 600
2019	334000	211474800	211 808 800	216 090 800
2020	1221000	243010800	244 231 800	278 965 800
2021(4 თვე)	548 000	65469600	66 017 600	76 550 600

**არაალკოჰოლური სასმელები**

წელი	მარკების (მატერიალური)	მარკები (არამატერიალური)	სულ ჯამი
2018	101 300 000	552 247 910	653 547 910
2019	99 270 000	604 667 703	703 937 703
2020	83 271 000	522 889 943	606 160 943
2021(4 თვე)	26 325 000	148 124 939	174 449 939

**სულ გაცემული მარკების რაოდენობა წლების მიხედვით**

წელი	სულ ჯამი
2018	1 117 799 823
2019	1 005 186 426
2020	967 505 310
2021(4 თვე)	272 310 804

**ადგილობრივი მწარმოებლები და იმპორტიორები 2018 - 2021**

წელი	ადგილობრივი	იმპორტი	ადგილობრივი/იმპორტი
2018	168	140	14
2019	186	151	21
2020	175	116	16
2021(4 თვე)	137	73	14



დღეის მდგომარეობით საქართველოში 12 ორგანიზაციის 14 ქარხანაში დგას 49 არამატერიალური მარკირების აპარატი. საქართველოში ყველაზე სწრაფი ჩამომსხმელი ხაზის წარმადობაა 48 000 ბოთლი საათში.

ქარხნების რაოდენობა	მისამართი	ხაზების რაოდენობა
7	მცხეთის რაიონი	26
3	თბილისი	8
2	ბორჯომის რაიონი	6
1	ჩოხატაურის რაიონი	7
1	ყაზბეგის რაიონი	2

ქარხნებში დაყენებულია 5 ცალი მარკის დამკრავი აპარატი წარმადობით საათში 120 000 ცალი ბოთლი.

ქარხნების რაოდენობა	მისამართი	აპარატის რაოდენობა
1	თბილისი	2
1	ბაღდათის რაიონი	2
1	თელავის რაიონი	1



## 2. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია

### 2.1. ტერმინთა განმარტებები

სამსახური / შემოსავლების სამსახური	საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური;
შერჩევა	მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების გაწევის უფლების მისაღებად ჩატარებული პროცესი და პროცედურები;
პირი	რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი;
პრეტენდენტი	საქართველოს ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი (მათ შორის, წარმოდგენილი კონსორციუმის სახით), რომელიც წარადგენს წინადადებას და მონაწილეობას იღებს შერჩევის პროცედურაში;
შესარჩევი კომისია	საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ახორციელებს ამ წესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;
მარკირება	პროდუქციაზე მატერიალური მარკის დატანის პროცესი ან პროდუქტზე პირდაპირი (არამატერიალური) მარკირება.
მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების გამწევი პირი	მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების გაწევის უფლების მფლობელი, შერჩევის შედეგად შერჩეული პრეტენდენტი, რომელთანაც შემოსავლების სამსახურს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება და რომელიც საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობითა და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ავთენტიფიკაციის ელემენტი	მარკაზე დატანილი ან მასზე ინტეგრირებული ავთენტიფიკაციის ელემენტები, რომლის ავთენტურობის შესამოწმებლად საჭიროა შესაბამისი აღჭურვილობა ან ინსტრუმენტები.
ეკონომიკური ოპერატორი	კომპანია, რომელიც ახდენს საქართველოში მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტს ან წარმოებას და რეალიზაციას.
პრეტენდენტის წინადადება	პრეტენდენტის მიერ შესარჩევი, კომისიისათვის წარდგენილი წინადადება მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების გამწევი პირად შერჩევის მიზნით





## 2.2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

N	პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მოთხოვნები
	<b>ზოგადი ინფორმაცია</b>
2.2.1	სრულყოფილი ინფორმაცია პრეტენდენტის შესახებ (ინფორმაცია პრეტენდენტის დაფუძნებისა და საქმიანობის შესახებ, სარეგისტრაციო და სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლები);
2.2.2	ინფორმაცია პრეტენდენტის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების თაობაზე, რომლითაც აეკრძალა საქმიანობა, ინფორმაცია მის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტების თაობაზე და სხვა; შენიშვნა: კომისია უფლებამოსილია, აღნიშნული ინფორმაციის შეფასების შემდეგ იმსჯელოს პრეტენდენტის წინადადების შემდგომ ეტაპზე განსახილველად დაუშვებლობის საკითხზე.
2.2.3	პრეტენდენტის წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 500 000 აშშ დოლარის ოდენობით.
2.2.4	საქართველოში მარკირების განხორციელებასთან დაკავშირებული 10 წლიანი ბიზნეს-გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის საქმიანობის განხორციელების შესახებ ცალ-ცალკე, პირველი წლიდან მე-5 წლის ჩათვლით და მე-6 წლიდან მე-10 წლის ჩათვლით.
2.2.5	პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს 2 (ორი) სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო უწყებებისთვის პროდუქციის მარკირების, მარკების მიწოდების და ავთენტიფიკაციისა ან მარკირების, მარკირების მიწოდების, ავთენტიფიკაციის და მიკვლევადობის სისტემური გადაწყვეტილებების გამოცდილების მტკიცებულება, ანალოგიურ პროდუქციაზე: თამბაქო, ალკოჰოლური ან არა ალკოჰოლური სასმელები. ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიმდინარე ან დასრულებულ კონტრაქტთან დაკავშირებული მინიმუმ 2 (ორი) (მათ შორის, მოქმედი 1 კონტრაქტი მაინც) სარეკომენდაციო წერილი გაცემული კონტრაქტორი სახელმწიფო ორგანოს მიერ და ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული; შესაბამისი სარეკომენდაციო წერილების მიხედვით ბოლო 5 წლის მანძილზე კონტრაქტების ჯამური მოცულობა მარკირებული პროდუქციის მიხედვით უნდა აღემატებოდეს ერთ მილიარდ ერთეულს ერთი ნებისმიერი კალენდარული წლის განმავლობაში.
2.2.6	პრეტენდენტი უნდა ფლობდეს მოქმედ აკრედიტაციის სერთიფიკატებს: ISO 9001 (ხარისხის მართვის); ISO 14001 (გარემოსდაცვითი); ISO 14298 (security printing management); ISO 27001 (information security management); ISO 45001 (შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის);



	შენიშვნა: აღნიშნული სერტიფიკატის ნაცვლად პრეტენდენტმა შეიძლება წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ წინადადების წარდგენის მომენტში მუშაობს ამ აკრედიტაციის სერტიფიკატის მისაღებად: ISO 37001 (ანტიკორუფციული) ან პრეტენდენტის ეთიკის კოდექსი/ქცევის კოდექსი, შიდა ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტი;
2.2.7	პრეტენდენტმა წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ ის პირდაპირ ან ირიბად არ არის ჩართული მოცემულ შერჩევაში აღწერილი სისტემის სამიზნე პროდუქციის წარმოებაში, იმპორტში, დისტრიბუციაში, საბითუმო ან საცალო ვაჭრობაში. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს და ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია იმის დასტურად, რომ ადგილი არ აქვს ინტერესთა კონფლიქტს აღნიშნულ ოთხ საწარმოო სექტორთან (თამბაქო, ლუდი, ალკოჰოლური სასმელები და არა-ალკოჰოლური სასმელები), ჰოლდინგის სტრუქტურის, საკუთრების, კუთვნილების, დირექტორთა საბჭოსთან და ფინანსებთან რაიმე სახის შემხებლობის ჩათვლით. აღნიშნულ ინდუსტრიებთან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტების არსებობის გამოსარიცხად, შემოსავლების სამსახური იტოვებს უფლებას მოსთხოვოს პრეტენდენტებს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.
2.2.8	პრეტენდენტმა უნდა განაცხადოს ბოლო 3 (სამი) წლის მანძილზე აქტიურ ან ყოფილ კლიენტთან არსებული ან დასრულებული სასამართლო დავის/დავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი მონაწილეობს კონსორციუმის / ერთობლივი საწარმოს ფორმით, აღნიშნულ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს კონსორციუმის / ერთობლივი საწარმოს თითოეული წევრი
2.2.9	პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს წერილობით, რომ ფლობს ყველა სამართლებრივ ინსტრუმენტს და შეძლებს სრულად გააკონტროლოს შემოთავაზებული მარკების დამცავი მახასიათებლების წარმოების, დისტრიბუციისა და უსაფრთხოების პროცესი.

**მოთხოვნები პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული წინადადებისათვის**

<b>მარკირების უსაფრთხოება</b>	
2.2.10	მატერიალური მარკა უნდა მოიცავდეს როგორც მინიმუმ 4 (ოთხ): 1 ხილულს, 1 ნახევრად ხილულს, 1 უხილავს და 1 სასამართლო-საექსპერტიზო ავთენტიფიკაციის ელემენტს.
2.2.11	მატერიალური მარკირებისთვის გამოყენებული ავთენტიფიკაციის ელემენტები უნდა იყოს დაცული, კომერციულად ხელმიუწვდომელი და გარანტირებულად სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის ექსკლუზიურად მიწოდებული;
2.2.12	მატერიალური მარკა გამოყენებადი უნდა იყოს სხვადასხვა მასალაზე (როგორებიცაა მუყაო, მეტალი, მინა, პოლიკარბონატი და სხვა). მატერიალური მარკა დაცული უნდა იყოს არასანქცირებული მოხმარებისგან.
2.2.13	მატერიალური მარკა თავსებადი უნდა იყოს მაღალი სიჩქარის ავტომატურ აპლიკატორებთან.





2.2.14	მატერიალური მარკა დაცული უნდა იყოს კოპირებისგან, დუბლირებისგან, გაყალბებისაგან და ფალსიფიკაციის სხვა მეთოდებისგან.
2.2.15	მატერიალური მარკა მოწოდებულ უნდა იქნეს თვითწებვადი და მშრალი ფორმით.
2.2.16	პირდაპირი მარკირება შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ შესაფუთ მასალაზე.
2.2.17	პირდაპირი მარკირება თავსებადი უნდა იყოს მაღალი სიჩქარის საწარმოო ხაზებთან.
2.2.18	პირდაპირი მარკირებისთვის გამოყენებული უნდა იყოს ავთენტიფიკაციის ელემენტები. ეს ავთენტიფიკაციის ელემენტები უნდა იყოს დაცული, კომერციულად ხელმიუწვდომელი და გარანტირებულად სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის ექსკლუზიურად მიწოდებული;
2.2.19	პირდაპირი მარკირება დაცული უნდა იყოს კოპირებისგან, დუბლირებისგან, გაყალბებისაგან და ფალსიფიკაციის სხვა მეთოდებისგან.
2.2.20	პრეტენდენტმა წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული მარკების მაკეტი და ნიმუში.
	<b>მიკვლევადობა (მატერიალური მარკისა და პირდაპირი მარკირებისათვის)</b>
2.2.21	თითოეული მარკირება უნდა ატარებდეს უნიკალურ და დაშიფრულ კოდს (UID).
2.2.22	თითოეული UID წარმოდგენილი უნდა იყოს 2 განზომილებიანი ბარკოდით; პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს iOS და Android თავსებადი სმარტფონ აპლიკაციასთან წვდომა, რაც მომხმარებელს მიცემს შესაძლებლობას ბარკოდის სკანირებით მოახდინოს მარკირებული პროდუქციის ვერიფიკაცია - ცენტრალურ მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის მიღების გზით.
2.2.23	თითოეული მარკის UID უნდა გადიოდეს ხარისხის კონტროლს და რეგისტრირდებოდეს ცენტრალურ მიკვლევადობის სისტემაში. მიკვლევადობის ელემენტები (UID) თავსებადი უნდა იყოს WHO-ს Protocol to Eliminate Illicit Trade in Tobacco Products-ით განსაზღვრულ მიკვლევადობის სისტემის მოთხოვნებთან.
	<b>მარკების მიწოდება</b>
2.2.24	პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული სისტემის მეშვეობით, რეგისტრირებულ ეკონომიკურ ოპერატორებს (ადგილობრივ მწარმოებლებს და იმპორტიორებს) უნდა შეეძლოთ მარკების შეკვეთის განთავსება, ხოლო შემოსავლების სამსახურს უნდა შეეძლოს შეკვეთის გადახედვა და დადასტურება ან უარყოფა.
2.2.25	სისტემაში შეკვეთის მართვის ფუნქციონალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების პორტალთან ინტეგრაციით, ეკონომიკური ოპერატორის ერთჯერადი ავტორიზაციის გზით და აპლიკაციის პროგრამული ინტერფეისების მეშვეობით.
2.2.26	ყველა მიწოდებული მარკა მიკვლევადი უნდა იყოს მათ შეკვეთის, მიწოდების, მწარმოებლის ან იმპორტიორის დონეზე.
2.2.27	შემოთავაზებულმა სისტემამ უნდა აღრიცხოს მარკების დანაკარგი, დაზიანება და ასევე განადგურების პროცესი.



2.2.28	შემოთავაზებული სისტემა უნდა იძლეოდეს მარკების სხვადასხვა რაოდენობით შეკვეთის შესაძლებლობას.
2.2.29	შემოთავაზებული სისტემა უნდა იძლეოდეს ეკონომიკური ოპერატორის მიერ გამოუყენებელი მარკების დაბრუნების შესაძლებლობას.
	<b>წარმოების მონიტორინგი</b>
2.2.30	ადგილობრივი, მაღალი სიჩქარის და სრულად ავტომატიზებული წარმოების პროცესისათვის პრეტენდენტმა უნდა მიაწოდოს, დააინსტალიროს და დააკონფიგურიროს წარმოების მონიტორინგის მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული დასამარკი პროდუქტის სათანადოდ მარკირებას და მარკის UID ცენტრალურ მონაცემთა სისტემაში ასახვას, რაც თავის მხრივ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, წარმოებასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაციით: პროდუქციის კატეგორია, ბრენდი, დასახელება, მოცულობა, შესაბამისი სატარიფო კლასი, წარმოების ადგილი, ხაზი, თარიღი, დრო. აღნიშნულის განხორციელება უნდა მოხდეს საწარმოო პროცესის შეფერხების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი ექნება დანართის 2.2.35 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. პროდუქციის მატერიალური მარკებით დამარკვა წარმოადგენს შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორების ვალდებულებას.
2.2.31	წარმოების მონიტორინგის სისტემა შესაბამისი წარმოების შესახებ უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მონაცემთა ცენტრალურ ბაზას რეალურ დროში.
2.2.32	წარმოების მონიტორინგის სისტემა დაცული უნდა იყოს არასანქცირებული შეჭრის მცდელობებისაგან.
2.2.33	წარმოების მონიტორინგის სისტემას უნდა შეეძლოს მარკირების პროცესში ხარვეზების აღმოჩენა და შესაბამისი შეტყობინების გენერირება.
2.2.34	სისტემას უნდა შეეძლოს საწარმოო ხაზებთან ინტეგრაცია და მათი მუშაობის შეჩერება ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში.
2.2.35	იმპორტირებული პროდუქციისთვის და ადგილობრივი დაბალი სიჩქარის და არასრულად ავტომატიზებული წარმოებისთვის პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს აპლიკაცია, რომელიც საშუალებას მისცემს ეკონომიკურ ოპერატორს ასახოს ინფორმაცია მატერიალური მარკების გამოყენების შესახებ მონაცემთა ერთიან ბაზაში. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს, (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს) შემდეგს: პროდუქციის კატეგორიას, ბრენდს, დასახელებას, მოცულობას, შესაბამის სასაქონლო ნომენკლატურის კოდს, საწარმოო ხაზს, წარმოების ადგილს, თარიღსა და დროს
	<b>საველე და სამომხმარებლო ინსპექტირება</b>
2.2.36	პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს 100 სათანადო საველე ელექტრონული ინსპექტირების მოწყობილობის მიწოდება, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურები გამოიყენებენ ფიზიკური და ციფრული ელემენტების ავთენტიფიკაციისა (2.2.11 და 2.2.18) და მარკების უნიკალური იდენტიფიკატორის მიხედვით პროდუქციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიკვლევადობისთვის (2.2.22).



	ასევე, სასამართლო ექსპერტიზის და იდენტიფიცირებული საქონლის (მარკის) ნამდვილობის დადგენის მიზნით უზრუნველყოს ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება და საჭიროების (შემოსავლების სამსახურის მოთხოვნით) შემთხვევაში შესაბამისი წერილობითი ანგარიშის წარდგენა - წელიწადში არანაკლებ 10 ანგარიშის ოდენობით.
2.2.37	ინსპექტირების სავალდებულო ელექტრონულ მოწყობილობას უნდა შეეძლოს მარკების იდენტიფიკაცია როგორც სატელეკომუნიკაციო ქსელებთან კავშირისას, ასევე კავშირის არარსებობის შემთხვევაში.
2.2.38	სავალდებულო ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებით ინსპექტირების მონაცემები უნდა ისახებოდეს მონაცემთა ცენტრალურ ბაზაში.
2.2.39	ინსპექტირების სავალდებულო ელექტრონული მოწყობილობა აღჭურვილი უნდა იყოს GPS-ით ინსპექტორების ადგილმდებარეობის ავტომატურად რეგისტრაციისა და რეპორტირებისთვის.
2.2.40	სისტემის მეშვეობით შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ პირებს უნდა შეეძლოს სავალდებულო ინსპექტირებების დაგეგმვა, აღსრულება და შედეგების შემოწმება.
	<b>მონაცემთა მართვა</b>
2.2.41	პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა ცენტრალური ბაზა, რომელიც უნდა განთავსდეს შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ დაცულ ადგილზე, კონტროლირებადი წვდომით და შემავალი და გამავალი კომუნიკაციების მონიტორინგით, რათა დაცული იყოს არასანქცირებული შეჭრის მცდელობებისაგან. (ცენტრალური მონაცემთა ბაზისთვის მოწყობილობებს უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახური).
2.2.42	პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა მაღალი დონის რეზერვირება და მონაცემთა ხელმისაწვდომობა, ასევე მონაცემების ავარიული აღდგენის (disaster recovery) სისტემის დანერგვა
2.2.43	მონაცემთა ცენტრალურ ბაზაში უნდა აღირიცხებოდეს მონაცემები მარკირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ეტაპის შესახებ (წარმოების ან იმპორტის დაწყებიდან ინსპექტირების ჩათვლით). ინფორმაცია უნდა ინახებოდეს იმ სახით, რომ შემოსავლების სამსახურს შეეძლოს მისი დამუშავება და გამოყენება თავისი მიზნებისთვის.
2.2.44	პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს თუ როგორ იქნება სტრუქტურული ე.წ. მართვის ცენტრი და როგორ უზრუნველყოფს იგი განლაგებული აღჭურვილობის მონიტორინგს, ეფექტიან წარმოებას და მომსახურების გაწევას.
	<b>რეპორტირება</b>
2.2.45	სისტემამ უნდა უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელების მიერ შეკვეთილი, შეძენილი ან/და დაბრუნებული მარკების ანგარიშის წარმოება, რათა დაეხმაროს შემოსავლების სამსახურს გადასახადის აღრიცხვასა და ანალიზში.



2.2.46	ანგარიშები კონფიგურირებადი უნდა იყოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მათი მოთხოვნისამებრ გენერირება და ასევე, ავტომატური მოწოდება პერიოდულად, რეგულარული ინტერვალებით.
2.2.47	პრეტენდენტმა უნდა წარმოაჩინოს შემოსავლების სამსახურის დახმარების შესაძლებლობა შესაბამისობის მონიტორინგსა და აღსრულებაში ბიზნესის ანალიტიკის, წარმოების მონიტორინგის, ინსპექტირების და რისკების ანალიზის გზით.
	<b>ორგანიზაცია, დანერგვა და მომსახურება</b>
2.2.48	პროექტის განხორციელებისა და მომსახურებისათვის პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ორგანიზაციის სტრუქტურა, რომელიც აღწერს პროექტის განხორციელებას, ძირითადი პოზიციებით მოვალეობებით, მართვით და ესკალაციის პროცესების აღწერით.
2.2.49	პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხედვა სისტემის სრულფასოვნად ოპერირებისთვის აუცილებელი ოფისის, საწყობისა და სხვა ინფრასტრუქტურული ერთეულების (მათ შორის მარკების გაცემისა და მიღებისათვის) შესახებ.
2.2.50	სისტემის დანერგვის, მომსახურების, ოპერირების და გამოყენებისათვის, პრეტენდენტმა უნდა წარადგინოს აღნიშნული სისტემის გამომყენებელი თანამშრომლების ტრენინგის გეგმა. სპეციალისტების დაქირავება უნდა ხორციელდებოდეს ძირითადად ადგილობრივად.
2.2.51	ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, სისტემის მოვლა, განახლება, ყველა საჭირო ტექნიკური და პროგრამული მომსახურება უნდა უზრუნველყოს პრეტენდენტმა.
2.2.52	პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმპლემენტაციის დეტალური გეგმა, სადაც ასახული იქნება თითოეული ეტაპი, ეტაპის განხორციელების ვადა და პრეტენდენტის, შემოსავლების სამსახურის და ეკონომიკური ოპერატორების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.
2.2.53	სისტემას უნდა შეეძლოს შემოსავლების სამსახურის არსებული მონაცემთა ბაზის იმპორტი და მასთან ინტეგრაცია.
2.2.54	პრეტენდენტმა შემოთავაზებული სისტემის დანერგვა და მისი ფუნქციონირების დაწყება უნდა უზრუნველყოს შემოსავლების სამსახურთან შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 9 თვის ვადაში
	<b>დემონსტრირება</b> საჭიროების შემთხვევაში, შესარჩევი კომისიის მოთხოვნით, პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს პრეტენდენტის წინადადებით შემოთავაზებული სისტემის და მისი კომპონენტების დემონსტრირება (ფოტო- და ვიდეო მასალით, პრეზენტაციით ან ონლაინ-ვიდეო ტრანსლაციის მეშვეობით) შემდეგ კომპონენტებზე:
2.2.55	მარკების მატერიალური დაცვა. სამიზნე პროდუქციაზე მარკების გამოყენება და მონიტორინგი;
2.2.56	მიკვლევადობა;
2.2.57	მარკების მიწოდება;



2.2.58	წარმოების მონიტორინგი (მ.შ. მაღალი სიჩქარის ხაზებთან თავსებადობა);
2.2.59	საველე ინსპექტირება, მ.შ. სამომხმარებლო ვერიფიკაცია;
2.2.60	მონაცემთა მართვა, მონაცემთა ცენტრალური ბაზა, მონაცემთა მონიტორინგი;
2.2.61	რეპორტირება;
2.2.62	ორგანიზაცია, დანერგვა, სერვისული მხარდაჭერა და ტექნიკური მომსახურება.
	<b>ფასის შეთავაზება</b>
2.2.63	<p>პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მარკირების (მატერიალური/არამატერიალური) საერთო ნომინალური ღირებულების ფასი აშშ დოლარში 1 000 ცალ მარკაზე. შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს წინადადებით წარმოდგენილ ყველა ადჟურვილობის, მოწყობილობისა და მომსახურების ფასს, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სისტემას, რომელიც მოთხოვნილია წინადადებით;</li> <li>• მატერიალურ მარკას;</li> <li>• მოწყობილობებს, რომელიც უზრუნველყოფს არამატერიალურ მარკირებას;</li> <li>• სპეციალურ საველე მოწყობილობებს;</li> <li>• ლიცენზიებსა და მოწყობილობებს მონაცემთა მართვის სისტემისათვის;</li> <li>• ლაბორატორიულ ანალიზს;</li> <li>• მომსახურებას, რომელიც გულისხმობს: <ul style="list-style-type: none"> <li>○ მატერიალური მარკების მიწოდებას პრეტენდენტის საწყობიდან;</li> <li>○ მწარმოებელთან განთავსებული წარმოების საკონტროლო მოწყობილობების ტექნიკურ უზრუნველყოფას;</li> <li>○ საველე მოწყობილობების ტექნიკურ მხარდაჭერას;</li> <li>○ მონაცემთა მართვის სისტემის ტექნიკურ მხარდაჭერას;</li> </ul> </li> </ul>





### 2.3. ინსტრუქცია პრეტენდენტის წინადადების შედგენის და წარდგენის წესზე

თითოეულმა პრეტენდენტმა უნდა მოამზადოს მისი წინადადება და უზრუნველყოს, რომ წარდგენილი წინადადება მოიცავდეს შესარჩევი კომისიის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებითა და წინამდებარე განცხადებით გათვალისწინებულ ყველა ინფორმაციას, მონაცემს და საჭირო დანართებს.

პრეტენდენტის მიერ შესარჩევი კომისიისათვის წარსადგენი წინადადება, ყველა დანართ და თანხმლებ დოკუმენტთან ერთად, წარდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

პრეტენდენტს უფლება აქვს შესარჩევ კომისიას წარუდგინოს მხოლოდ ერთი წინადადება.

შესაძლებელია პრეტენდენტის მიერ შესარჩევი კომისიისათვის წარსადგენი წინადადება და თანხმლები დოკუმენტები შედგენილი/გაცემული/ხელმოწერილი იყოს უცხო ენაზე; ამ შემთხვევაში, შესარჩევ კომისიას დოკუმენტი წარედგინება სანოტარო წესით დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად.

პრეტენდენტის წინადადება ან/და ინფორმაცია და მონაცემები, რომელსაც შესარჩევი კომისიის განსახილველად წარადგენს პრეტენდენტი, უნდა მოიცავდეს მითითებას დოკუმენტის/ინფორმაციის შესაბამის ნაწილზე, რომელიც პრეტენდენტისათვის წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას ან აქვს მისი გამხელისაგან დაცვის განსაკუთრებული ინტერესი.

პრეტენდენტის წინადადება კომისიას უნდა წარედგინოს დალუქულ კონვერტში ერთ ეგზემპლიარად. პრეტენდენტის წინადადების წარდგენის მომენტისათვის ლუქი უნდა იყოს მთლიანი, რასაც დაადასტურებენ წინადადების წარმდგენი პირი (მათ შორის, პრეტენდენტის ან მისი საკურიერო მომსახურების გამწევი პირის და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი დალუქულ კონვერტზე ხელმოწერით);

კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს:

- ა) პრეტენდენტის სახელი/დასახელება და მისამართი;
- ბ) პრეტენდენტის წინადადების ადრესატი;
- გ) პრეტენდენტის საკონტაქტო მონაცემები;
- დ) შესაბამისი აღნიშვნა, კონვერტის გახსნაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში.

პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება თანდართულ/თანხმლებ დოკუმენტებთან ერთად უნდა იყოს დანომრილი, საჭიროების შემთხვევაში - შესაბამისი ანოტაციით და უნდა ჰქონდეს საჭირო მითითებები (სათაურები) შესარჩევი კომისიის მიერ განსაზღვრულ





საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და წინამდებარე განცხადებასთან შესაბამისობის დადგენის გამარტივების მიზნით.

პრეტენდენტის წინადადების წარდგენის სისწორესა და დროულობაზე, წარდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება პრეტენდენტს.

პრეტენდენტის მიერ მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს იღებს პრეტენდენტი, საკუთარი შეხედულებისამებრ.

შესარჩევი კომისია ან შემოსავლების სამსახური არ ანაზღაურებს იმ ხარჯებს, რომლებიც წარმოექმნება ან გაწია პრეტენდენტმა წინადადების მომზადების ან/და წარდგენის პროცესში.



## 2.4. პრეტენდენტის წინადადების ფორმა, მოქმედების მინიმალური ვადა და წარდგენის ადგილი

პრეტენდენტის წინადადება შესარჩევ კომისიას უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით.

თითოეულმა პრეტენდენტმა უნდა მოამზადოს მისი წინადადება შესარჩევი კომისიის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებითა და წინამდებარე განცხადებით გათვალისწინებულ მოთხოვნების შესაბამისად.

თითოეული წარდგენილი წინადადება უნდა მოიცავდეს სრულ, დეტალურ და კეთილსინდისიერ პასუხებს მოთხოვნილ ინფორმაციაზე, სადაც აღწერილი იქნება განზრახული/შეთავაზებული მომსახურების სახე მისი განხორციელებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ელემენტთან ერთად. პრეტენდენტები უფლებამოსილნი არიან წარადგინონ დამატებითი ინფორმაცია თავისი შეხედულებისამებრ.

პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება უნდა იყოს: A4 ზომის თაბახის ფურცელზე; წინადადებები უნდა მომზადდეს "Sylfaen" შავ-თეთრი ფონტით, ზომა - 12. გამოყენებული აბრევიატურები უნდა იყოს სათანადოდ განმარტებული; წინადადებაში მითითებული თანხები ან ვალუტის მაჩვენებლები - განმარტებული, ასეთის არსებობის ან საჭიროების შემთხვევაში; წინადადება მკაფიოდ უნდა იყოს დანომრილი და მითითებული სარჩევში. თანმიმდევრობა უნდა იყოს შესარჩევი კომისიის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებითა და წინამდებარე განცხადებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში, მითითებებით შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე.

პრეტენდენტებმა მატერიალური სახით წარმოდგენილ წინადადებასთან ერთად უნდა წარადგინონ CD/USB-ზე ჩაწერილი წინადადების ელექტრონული ვერსია (Ms Word, Ms Excel, PDF ფაილების სახით). CD/USB-ის უნდა ეწეროს პრეტენდენტის სახელი/დასახელება. თითოეული პრეტენდენტის პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს CD/USB-ზე დატანილი ინფორმაციისა და ამობეჭდილი ვერსიის ურთიერთშესაბამისობა. ზემოხსენებულ ფორმატებს შორის განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება დაბეჭდილ ვერსიას.

კონვერტზე მითითებული უნდა იყოს პრეტენდენტის რეკვიზიტები.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება (მისი ნაწილი) შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება აისახოს შესაბამის ხელშეკრულებაში.

**წარდგენილი წინადადების მოქმედების ვადა:**



პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება, როგორც პრეტენდენტის ნების გამოვლენა და თანხმობა შერჩევის პროცესში მონაწილეობის განცხადებაზე, შეუქცევადია და რჩება ძალაში მისი წარდგენის შემდგომ მინიმუმ 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

**წინადადების წარდგენის ადგილი:**

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება გაიხსნება შესარჩევი კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დღეს. პრეტენდენტს უფლება აქვს, დაესწროს შესარჩევი კომისიის სხდომას კონვერტის გახსნისას. კონვერტის გახსნაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, პრეტენდენტმა აღნიშნულის თაობაზე უნდა მიუთითოს კონვერტზე.

პრეტენდენტის წინადადება წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: **0114, თბილისი, საქართველო, ვახტანგ გორგასალის ქუჩა #16, პირველი სართული.**

პრეტენდენტის წინადადება უნდა წარედგინოს შესარჩევი კომისიას (შემოსავლების სამსახურის კანცელარიის მეშვეობით) 2021 წლის 22 ივლისს, თბილისის დროით 09:00 საათიდან – 18:00 საათამდე (GMT+4).

შესარჩევი კომისია არ განიხილავს იმ წინადადებებს, რომლებიც წარმოდგენილი იქნა წინადადებების წარდგენის ვადის (თარიღი და დრო) გასვლის შემდეგ. წინადადებების წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ მიღებული ნებისმიერი წინადადება პრეტენდენტს დაუბრუნდება გაუხსნელად.

პრეტენდენტის წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ.



## 2.5. პრეტენდენტების მიერ წარდგენილი წინადადებების განხილვისა და შერჩევის საკითხები

მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები, შესარჩევი კომისიის უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის №99 დადგენილებით „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 26 აპრილის №95 ბრძანებით „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შესარჩევი კომისიის და ამ კომისიის აპარატის შექმნისა და მათი საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“.

## 2.6. განმარტებები შერჩევის პროცედურებსა და საკვალიფიკაციო დოკუმენტაციასთან

დაინტერესებულმა პირმა ან პრეტენდენტმა, რომელსაც რაიმე განმარტების მიღება სურს შერჩევის პროცედურებსა და საკვალიფიკაციო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, წერილობით უნდა მიმართოს შესარჩევი კომისიას განცხადებაში მითითებულ საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე [marking@rs.ge](mailto:marking@rs.ge). შესარჩევმა კომისიამ წერილობით უნდა უპასუხოს განმარტების შესახებ მიმართვას გამომგზავნის ელექტრონულ ფოსტაზე, მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

შესარჩევი კომისია განმარტების გამომგზავნს წერილობით უგზავნის პასუხს მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე და ასევე, დასმულ კითხვას/მოთხოვნილ განმარტებას და გაცემულ პასუხს აქვეყნებს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე საამისოდ გამოყოფილ ადგილას.

დაინტერესებული პირის ან პრეტენდენტის მიერ განმარტებების მოთხოვნაზე წერილობითი მიმართვები შესარჩევი კომისიის მიერ არ მიიღება/არ განიხილება, თუ პრეტენდენტების წინადადებების მიღების თარიღამდე დარჩენილია 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები ვადა.



## 2.7. შესარჩევ კომისიასთან კომუნიკაციის წესი

### შესარჩევ კომისიასთან არაოფიციალური გზით კონტაქტის დამყარების აკრძალვა

თითოეულ პრეტენდენტსა და სხვა ნებისმიერ, შერჩევის პროცესის მონაწილეს, კატეგორიულად ეკრძალებათ შესარჩევ კომისიასთან ან კომისიის აპარატთან კომუნიკაციის დამყარება სხვა მეთოდებით, გარდა ამ განცხადების მოთხოვნებში გაწერილი ფორმისა.

კომისია იტოვებს უფლებას, მოხსნას ნებისმიერი პრეტენდენტი შერჩევის პროცესიდან, თუ ის შეეცდება მოახდინოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენა კომისიაზე (მის წევრებზე), კომისიის აპარატზე (მის წევრებზე) ან შეეცდება მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია ამ პროცესის გარეთ.

## 3. ინფორმაცია პრეტენდენტის საბანკო გარანტიებზე

პრეტენდენტის წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი ვალდებულია, წარუდგინოს შესარჩევ კომისიას საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა შეადგენს 500 000 აშშ დოლარს.

წარდგენილი საბანკო გარანტია უნდა პასუხობდეს შესარჩევი კომისიის მიერ საბანკო გარანტიისათვის განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს.

### პრეტენდენტის წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიის გამოყენების პირობები

- საგარანტიო მოთხოვნა თანაბრად ეხება ყველა პრეტენდენტს.
- საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს პრეტენდენტის წინადადების მოქმედების ვადას.
- გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს პრეტენდენტის წინადადებასთან ერთად.
- შესარჩევ კომისიას უფლება აქვს, დაიწუნოს პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტია, თუ მას საფუძვლიანი ეჭვი აქვს წარდგენილი საბანკო გარანტიის მიმართ ან საბანკო გარანტიაზე დასტურის გამცემი ორგანიზაციის გადახდისუნარიანობაზე.



- შესარჩევმა კომისიამ უნდა უზრუნველყოს პრეტენდენტებისთვის საბანკო გარანტიების დაბრუნება შერჩეულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადების დღიდან არაუგვიანეს 10 დღისა, მათივე მოთხოვნის საფუძველზე.
- თუ შესარჩევი კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას შერჩევის პროცედურების შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე, პრეტენდენტებს საბანკო გარანტიები უბრუნდებათ მათი მოთხოვნისთანავე.
- იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის წინადადების მოქმედების ვადა ამოიწურა პრეტენდენტის წინადადებების შეფასების დასრულებამდე და პრეტენდენტმა უარი განაცხადა ამ ვადის გაგრძელებაზე, პრეტენდენტს საბანკო გარანტია უბრუნდება მოთხოვნისთანავე.
- საბანკო გარანტიის დაუბრუნებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესარჩევი კომისია და შერჩევის წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

**ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის შერჩეული პრეტენდენტი ვალდებულია, შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერამდე შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა შეადგენს 500 000 აშშ დოლარს.**

ხელშეკრულება და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიის გამოყენების პირობები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N99 დადგენილებით „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“.





#### 4. შესარჩევი კომისიის საკონტაქტო ინფორმაცია:

**ადრესატი:** სსიპ შემოსავლების სამსახური  
მატერიალური და არამატერიალური ფორმით  
სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი  
პირის შესარჩევი კომისია

**მისამართი:** თბილისი, საქართველო, 0114, ვახტანგ გორგასალის ქუჩა #16, I  
სართული

**ელ-ფოსტა:** [marking@rs.ge](mailto:marking@rs.ge)